



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 4

ქ. გარდაბანი

26/01/2022

4-06-4-202201261805



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 4658 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს.კ. N81.11.09.906) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 იანვრის N18-1822021138 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 4658 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. N81.11.09.906) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე